ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება: საქართველო

European Implementation Network

იანვარი, 2021 წ.

European Implementation Network (EIN) ევროპის მასშტაბით თანამშრომლობს არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა აქტორებთან, რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულად აღსრულება და ხელი შეუწყოს ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე რეალური ცვლილებების განხორციელებას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული წარმატებული საქმიანობა აერთიანებს ადვოკატირებას ეროვნულ დონეზე და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ განხორციელებულ ზედამხედველობაში ჩართულობას.

EIN მხარს უჭერს საქმიანობას ორივე მიმართულებით, ადვოკატირების, ტრენინგისა და რესურსების საშუალებით.

© European Implementation Network
2 allée René Cassin, F- 67000 STRASBOURG, FRANCE
contact@einnetwork.org

ავტორი: მატეო ზამბონი
კონცეფციის ავტორები: ჯორჯ სტეფორდი და იოანა ილიესკუ
წინა ყდის ფოტო: დენის არსლანბეკოვი, წყარო: Unsplash.com;
უკანა ყდის ფოტო: პოლ ვან ჰარტენი, წყარო: Unsplash.com

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები 2020 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, ხოლო მონაცემების წყაროს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მონაცემთა ბაზა: **HUDOC-EXEC**

გამოქვეყნების თარიღი: 2020 წლის იანვარი

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. თუმცა, ეს გადაწყვეტილებები მხოლოდ პირველი ნაბიჯია ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. სამწუხაროდ, გადაწყვეტილებების აღსრულებას, შესაძლოა, დიდი დრო დასჭირდეს, რაც სავარაუდოდ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა კვლავ გაგრძელდება. EIN-ის მიზანია მსგავსი მაგალითების ხაზგასმა და ამ მიზნით, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შეფასება. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი აღნიშნული საქმიანობა აამაღლებს მთავრობების და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერებას და წაახალისებს მათ, რათა აქტიური როლი ითამაშონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. ამ მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობა მეზობელ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე უკეთესია; აღინიშნა პოზიტიური ნაბიჯები არაერთ საქმეში (მაგ. იხილეთ ბავშვთა უფლებების კუთხით განხორციელებული პროგრესი, გვ.11). ამავდროულად, სასურველია, რომ გაიზარდოს აღსრულების პროცესში მთავრობის მონაწილეობა და არა-სამთავრობო აქტორების ინკლუზია. ამჟამად აღსრულების პროცესშია საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული 23 პრეცედენტული გადაწყვეტილება. თითეული მათგანი შეეხება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სისტემურ და განმეორებად პრობლემას, რომლის მიმართაც ეფექტური რეაგირება ჯერ არ განხორციელებულა. ბოლო ათი წლის მანძილზე მიღებული პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებიდან, 61.1%-ის აღსრულება ჯერ არ მომხდარა. ამასთან, საქმეთა 43.5%-ის შემთხვევაში, მთავრობას არ მოუმზადებია სამოქმედო გეგმა/ანგარიში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული ნიშნავს ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების დაკარგულ შესაძლებლობებს, ადამიანის უფლებათა დარღვევების გამეორების ფონზე. მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებაა საჭირო ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა, მაგალითად, პოლიციელთა ძალადობა, შეკრების თავისუფლება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სამართლიანი სასამართლო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნულ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მყარი თანამშრომლობა. ამავდროულად, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მეგობრული შეთანხმების პირობების აღსრულებაზე ზედამხედველობის შესახებ“ მინისტრთა კომიტეტის მე-9 წესის შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღსრულების პროცესზე და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს რეალობად აქცევს. იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე ანგარიშის გავრცელება შექმნის ინფორმატიულ საფუძველს, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც მთავრობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას საქართველოში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით.

პროფესორი გაშაკ ჩალი
EIN-ის თავმჯდომარე

რატომ არის აღსრულება მნიშვნელოვანი *„ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“* და დამოუკიდებელი გამოძიების უფლება

2005 წლის 30 სექტემბერს, ზურაბ ცინცაბაძე, 30 წლის მამაკაცი, ჩამომხრჩვალი იპოვეს ციხეში, სადაც იგი სასჯელს იხდიდა. ციხის ხელმძღვანელობამ მაშინვე განაცხადა, რომ ზურაბ ცინცაბაძემ ჩაიდინა თვითმკვლელობა, ხოლო იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლებმა აღნიშნული დასკვნა დაადასტურეს. მიუხედავად ამისა, ბატონი ცინცაბაძის დედა უარყოფდა თვითმკვლელობის ვერსიას და **აცხადებდა, რომ ციხის ხელმძღვანელობა მისი შვილის მკვლელობის დაფარვას ცდილობდა**.

სიმართლე გამჟღავნდა ამავე ციხის პატიმრების ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც პირადად შეესწრნენ, თუ როგორ ცემეს სხვა პატიმრებმა ბატონი ცინცაბაძე და როგორ მიათრევდნენ მას ციხის საკუჭნაოში. ნებისმიერ მცდელობას, ნათელი მოჰფენოდა ციხეში განვითარებულ მოვლენებს, ოფიციალური პირები პასუხობდნენ უარით, ეჭვი შეეტანათ თვითმკვლელობის ვერსიაში. გარდაცვლილის დედამ გადაწყვიტა, სტრასბურგისათვის მიემართა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მის პოზიციას და **დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, ვინაიდან გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი, ხოლო სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო მომჩივნის შვილის გარდაცვალებაზე.** თუმცა, აღნიშნული ისტორია ამით არ დასრულებულა. როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, **პატიმართა არასათანადო მოპყრობის გამოუძიებლობა საქართველოში სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.**

> **კონვენციის სისტემას აქვს ძალა იმისა, რომ ადამიანების ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს და კონტინენტის მასშტაბით დადებითი ცვლილებების განხორციელებას შეუწყოს ხელი.**
>
> (ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, 2020 წლის 4 სექტემბერი, DC 106 (2020))

თამარა გორი, წყარო: Unsplash.com

ეროვნულ დონეზე ადვოკატირებისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ხელისუფლებამ ამ საქმეებზე ახალი გამოძიებები დაიწყო და სამართლებრივი რეფორმები განახორციელა, რომელთა შორისაც არის **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა**. ეს და სხვა რეფორმები პოზიტიურად შეფასდა ევროპის სხვადასხვა ინსტიტუტების, მათ შორის, ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ. თუმცა, **კვლავ რჩება სხვადასხვა პრობლემები, ვინაიდან ახალი საგამოძიებო სამსახური დამოკიდებულია პროკურატურაზე**. აღნიშნული ასახულია მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებში, რომლის თანახმადაც კომიტეტი მიესალმება რეფორმებს, თუმცა, ხელისუფლებას **„ძალისხმევის დაჩქარების და გაძლიერებისკენ“** მოუწოდებს.

ზედამხედველობის პროცესთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ინფორმაცია წარადგინა როგორც ხელისუფლებამ, ისე ადგილობრივმა არა-სამთავრობო ორგანიზაციებმა. აღნიშნული პროცესის შედეგებს ექნება კრიტიკული მნიშვნელობა საქართველოში პატიმართა გარდაცვალების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

როგორ ხდება აღსრულება

ე.წ. *ცინცაბაძის* ჯგუფის საქმეები აღსრულების პროცესში მთავრობას, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობის ნათელი მაგალითია.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

2011 წლის 15 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით, ევროპულმა სასამართლომ საქმეში დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, **ვინაიდან ჩატარებული გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი, ობიექტური და ეფექტური,** ხოლო ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი და საერთაშორისო არა-სამთავრობო ორგანიზაციების როლი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძალისხმევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქმის ევროპულ სასამართლოში შეტანა, მოგება და აღსრულება. აღნიშნული ორგანიზაცია მომჩივნის ინტერესებს იცავდა ევროპული სასამართლოს წინაშე, მან მოამზადა **ანგარიშები ციხეში პატიმართა არასათანადო მოპყრობის** შესახებ და მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა **ორი კომუნიკაცია**, **EHRAC**-სთან თანამშრომლობით.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი

აღსრულების პროცესში, ასევე, ჩართული იყო სახალხო დამცველის ოფისი, რომელმაც მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა ინფორმაცია აღსრულების მდგომარეობის შესახებ და გამოაქვეყნა ანგარიშები იმის თაობაზე, თუ რა გავლენა აქვს მთავრობის მიერ მიღებულ ცვლილებებს.

ევროპის საბჭოს ჩართულობა

ვენეციის კომისიამ, ადამიანის უფლებათა დირექტორატმა, ადამიანის უფლებათა კომისარმა და **წამების პრევენციის კომიტეტმა** წარმოადგინეს მოსაზრებები მთავრობის მიერ მიღებულ ზომებთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ჯგუფის საქმეები **საქართველოსთვის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის** და საქართველოში ევროპული კონვენციის გამოყენების შესახებ **ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის** მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

მთავრობის მიერ მიღებული ზომები

2018 წლის 13 ივლისის, 2019 წლის 25 ოქტომბრის, 2020 წლის 12 ოქტომბრის სამოქმედო გეგმების თანახმად, მთავრობა გამოხატავს მზადყოფნას, მოახდინოს რეაგირება აღნიშნული ჯგუფის საქმეებში წარმოჩენილ დარღვევებზე, რა მიზნითაც იგი განახორციელებს **რეფორმების სერიას, სამოქალაქო საზოგადოებასთან,** სახალხო დამცველის ოფისთან, ეროვნულ და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით.

მინისტრთა კომიტეტის მიერ ზედამხედველობის პროცესი

მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნული ჯგუფის საქმეების განხილვა დაიწყო **„გაძლიერებული პროცედურის“** ფარგლებში და ზედამხედველობის პროცესის გაგრძელებასთან დაკავშირებით რამოდენიმე გადაწყვეტილება მიიღო. **2018 წლის 20 სექტემბრის, 2019 წლის 19 დეკემბრისა** და **2020 წლის 3 დეკემბრის** გადაწყვეტილებების საფუძველზე, კომიტეტმა ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, წარმოედგინა **მეტი ინფორმაცია როგორც ინდივიდუალურ, ისე ზოგად ზომებთან დაკავშირებით** და დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

აღსრულების პროცესის შეფასება
მნიშვნელოვანი ციფრები (1)

აღსრულების მომლოდინე პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების რაოდენობა

23

2020 წლის ოქტომბრის მდომგარეობით, აღსრულების პროცესშია საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული 23 პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ **გადაწყვეტილებებში იდენტიფიცირებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები არ არის მოგვარებული,** შესაბამისად, შესაძლებელია რომ ეს პრობლემები კვლავ განმეორდეს.

აღსრულების მოლოდინის საშუალო ხანგრძლივობა

3 წელი და 6 თვე

აღსრულების მოლოდინის საშუალო **ხანგრძლივობა** არის ზომიერად ხანგრძლივი, თუმცა, **შვიდი** პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილების შემთხვევაში, აღსრულების მოლოდინის ხანგრძლივობა **ხუთ წელზე მეტია**. ეს გადაწყვეტილებები შეეხება ისეთ სერიოზულ საკითხებს, როგორიცაა **სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ძალადობა პოლიციელთა მიერ** და **პატიმართა არასათანადო მოპყრობა**.

პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილება ახდენს ქვეყანაში არსებული **მნიშვნელოვანი ახალი ან სისტემური პრობლემის** იდენტიფიცირებას. შესაბამისად, თითეული პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილება შეეხება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემას, რომელიც აღსრულების პროცესის მეშვეობით უნდა გადაიჭრას.

აღსრულებული პრეცედენტული გადაწყვეტილებების პოპორციული წილის შეფასება საუკეთესო მეთოდია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ახორციელებს ქვეყანა ზოგად რეფორმებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მოქმედებაში მოყვანის მიზნით.

ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას აღსრულების მომლოდინე **პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა.** ქვეყნებში, სადაც გადაწყვეტილებების აღსრულება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, აღსრულების მომლოდინე პრეცედენტული გადაწყვეტილებების პროპორციული წილი **და** საერთო რაოდენობა არის მაღალი.

აღსრულების პროცესის შეფასება
მნიშვნელოვანი ციფრები (2)

ბოლო 10 წლის მანძილზე, საქართველოს მიმართ მიღებული **36** პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებიდან მხოლოდ **14** იქნა აღსრულებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ევროპული სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების (და ამ გადაწყვეტილებებში იდენტიფიცირებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების) **ნახევარზე მეტი**, ამ ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ რეაგირების გარეშე რჩება. ეს ციფრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ **ევროპული სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილებებში მითითებული ზოგადი საკანონმდებლო და/ან პოლიტიკური რეფორმების არ არსებობის პირობებში,** დარღვევები, სავარაუდოდ, კვლავ განმეორდება.

ბოლო 10 წლის მანძილზე მიღებული პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები, რომლებიც კვლავ აღსრულების მოლოდინშია



პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები, სადაც სახელმწიფო აგვიანებს სამოქმედო გეგმის/ანგარიშის წარმოდგენა



თუ შევხედავთ ზოგადად, აღსრულების მოლოდინში მყოფ გადაწყვეტილებებს, უნდა აღინიშნოს, რომ ათიდან ოთხზე მეტ შემთხვევაში, სახელმწიფოს არ აქვს წარმოდგენილი **სამოქმედო გეგმა** (ე.ი. დოკუმენტი, რომელიც აღწერს, თუ რა ნაბიჯებია გათვალისწინებული ევროპული სასამართლოს მითითებების შესაბამისად) და/ან **სამოქმედო ანგარიში** (ე.ი. განხორციელებული და/ან დაგეგმილი ღონისძიებების მიმოხილვა და შესაბამისი ვადები). აღნიშნული მნიშვნელოვნად აბრკოლებს აღსრულების პროცესს, ვინაიდან სამოქმედო გეგმის და/ან ანგარიშის არ არსებობა მიუთითებს აღსრულების კუთხით მთავრობის პასიურობაზე.

აღსრულების პროცესის შეფასება
დარღვევის ტიპი

პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების აღსრულების/აღუსრულებლობის პროცენტული მაჩვენებლის გარდა, ასევე, აღსანიშნავია, თუ **რა ტიპის დარღვევ(ებ)ი დაადგინა** ევროპულმა სასამართლომ იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც აღსრულების მოლოდინშია.



დარღვევების მაგალითები

აღსრულების მოლოდინში მყოფი 1 პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილება შეეხება კონვენციის **34-ე მუხლის** დარღვევას, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ფიზიკურ პირსა და მის ადვოკატს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა, ევროპულ სასამართლოში წარსადგენი საჩივრის მომზადების პროცესში.

აღსრულების მოლოდინში მყოფი პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს შორის, **2 გადაწყვეტილება შეეხება თავისუფლების უფლების დარღვევას** იმის გამო, რომ ეროვნული სასამართლოების განჩინებები წინასწარი პატიმრობის შეფარდების და/ან გახანგრძლივების თაობაზე არასაკმარის და არაადექვატურ დასაბუთებას შეიცავდა.

საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევა (9 შემთხვევაში), ძირითადად, **სისხლის სამართლის საქმეებს** შეეხება, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების კუთხით სისტემური ხარვეზების არსებობაზე მიანიშნებს.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით არსებული მდგომარეობის **ანალიზი (1)**

სტატისტიკური მონაცემების თანახმად - რაც კონკრეტული საქმეების ანალიზმაც დაადასტურა - სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, **გადაწყვეტილებების აღსრულება საქართველოში რეალურ ცვლილებებს გამოიწვევს**, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ისეთი რეფორმების მიღებას, რომელთა საჭიროებაც დიდი ხანია არსებობს. ამ მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობა, რეგიონის სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე უკეთესია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე, აღსრულების პროცესის ფარგლებში ხელისუფლების **სისტემატური ჩართულობის ნაკლებობა**. კერძოდ, არაერთი პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების შემთხვევაში, **ხელისუფლებას ჯერ არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმა/ანგარიში**. ამას გარდა, სხვადასხვა პრობლემებზე საუბრობენ ისინი, ვინც საქართველოში აღნიშნულ საკითხზე მუშაობს, განსაკუთრებით **რეფორმების ადექვატურობასთან** და რეფორმის განხორციელების პროცესში **არა-სამთავრობო აქტორების ჩართულობასთან** დაკავშირებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და **სახალხო დამცველის აპარატის** წარმომადგენლებს ვთხოვეთ, გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესთან დაკავშირებით. მათ ყურადღება გაამახვილეს ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა:

- საჭიროა კონვენციით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსამართლეების კომპეტენციების გაუმჯობესება. ამისათვის, მაგალითად, შესაძლებელია ევროპის საბჭოს მიზნობრივი პროექტების ფარგლებში ადამიანის უფლებათა ექსპერტების მიერ სათანადო დახმარების უზრუნველყოფა.

- აღნიშნულს თან ერთვის **მინისტრთა კომიტეტის საზედამხედველო ფუნქციის შესახებ ცოდნის ნაკლებობა,** რაც ხელს უშლის მსხვერპლებისა და ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციების სრულ მონაწილეობას იმპლემენტაციის პროცესში და მათი მოსაზრებების გათვალისწინებას.

- განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმეების განხილვა ხდება ზედამხედველობის სტანდარტული პროცედურის ფარგლებში, ნაცვლად გაუმჯობესებული პროცედურისა, **არ არის საკმარისად ნათელი, თუ რომელ ღონისძიებებს მიიჩნევს ევროპის საბჭო აუცილებელ ღონისძიებებად,** ევროპული სასამართლოს მიერ ხაზგასმული ადამიანის უფლებათა პრობლემების დაძლევის მიზნით.

- ამასთან, **ხელისუფლებისა მხრიდან გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო,** შეუძლებელია აღსრულების პროცესთან დაკავშირებული მოვლენების ეფექტური კონტროლი, რომ არაფერი ვთქვათ რეფორმების თანმიმდევრული დღის წესრიგის შედგენასა და რეალური ცვლილებების განხორციელებაზე.

ხელისუფლება საკუთარი ინტერესებისათვის იყენებს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებების აღქმულ ბუნდოვანებას და ახდენს ფართომასშტაბიანი, კომპლექსური რეფორმების განხორციელების გაჭიანურებას და/ან თავიდან აცილებას.

(ნინო ჯომარჯიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთაშორისო სამართალწარმოების მიმართულების ხელმძღვანელი)

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზი (2)

ადგილობრივმა არა-სამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის აპარატმა, ასევე, წარმოადგინეს შემდეგი იდეები და რეკომენდაციები ქვეყანაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების გასაუმჯობესებლად:

- აღსრულების შემაფერხებელი სხვადასხვა საკითხები განიხილება **მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებსა და ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციებს, იურისტებსა და მსხვერპლებს შორის გამართულ არაფორმალურ შეხვედრებზე**. სასურველია, რომ მსგავსი შეხვედრები ჩატარდეს უფრო ხშირად, ვინაიდან ისინი იძლევა ღია და გულწრფელი დებატების გამართვის შესაძლებლობას მთავრობის მიერ შემოთავაზებული იმ ღონისძიებების რეალური გავლენის შესახებ, რომლის მიზანსაც ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში წარმოდგენილი მითითებების შესრულება წარმოადგენს.

საქართველოში ევროპული სასამართლო პატივისცემით სარგებლობს, ვინაიდან მან ქართველი ხალხისათვის მნიშვნელოვანი არაერთი გადაწყვეტილება მიიღო. მსგავსი დამოკიდებულება გამოყენებული უნდა იქნას როგორც ტრამპლინი რეალური ცვლილებების განსახორციელებლად.
(თამარ აბაზაძე, ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი)

- საჭიროა **ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ საპარლამენტო კომიტეტში შესაბამისი პროცედურის განმტკიცება**: მსხვერპლები, არა-სამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები სისტემატურად უნდა იყვნენ ჩართული აღნიშნულ პროცედურაში და კანონი უნდა ადგენდეს მათი მოსაზრებების გათვალისწინების მოვალეობას.

ევროპული სასამართლოს განჩინებების აღსრულების შესახებ სწავლების პროგრამებში მეტი იურისტი უნდა ჩავრთოთ, რათა ადგილობრივ დონეზე გაიზარდოს იმ პრაქტიკოსი იურისტების რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ მსხვერპლებს დახმარება გაუწიონ აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის კუთხით.
(ნინო ჯომარჯიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთაშორისო სამართალწარმოების მიმართულების ხელმძღვანელი)

- საჭიროა ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი პოტენციალის გაუმჯობესება, რათა ადგილობრივმა არა-სამთავრობო ორგანიზაციებმა შეძლონ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმით უზრუნველყოფილი ყველა შესაძლებლობის გამოყენება, **მათ შორის, მინისტრთა კომიტეტის მიერ ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა.** არსებული მდგომარეობით, **მე-9 წესის საფუძველზე კომუნიკაცია წარდგენილ იქნა პრეცედენტული მნიშვნელობის მხოლოდ რამოდენიმე მიმდინარე საქმეში** (23-დან 8 მიმდინარე პრეცედენტული საქმე). ეს ციფრები უნდა გაიზარდოს, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია აღსრულების პროცესის გასაუმჯობესებლად.

კონკრეტული მაგალითი
ბავშვთა უფლებების სრული იმპლემენტაცია

დედის გარდაცვალების შემდეგ, სამი ბავშვი საცხოვრებლად დეიდასთან გადავიდა მაშინ, როდესაც ბავშვების მამა ნარკომანიის მკურნალობის კურსს გადიოდა. მოგვიანებით, შვილების დაბრუნების მოთხოვნით, მამამ სასამართლოს მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ **არსებობდა ექსპერტთა არაერთი დასკვნა, რომლის თანახმადაც არ იყო მიზანშეწონილი ბავშვების მამასთან დაბრუნება,** ეროვნულმა სასამართლოებმა **მამის მოთხოვნა დააკმაყოფილეს და იგი ბავშვების ერთადერთ კანონიერ მეურვედ გამოაცხადეს.** შესაბამისად, ბავშვები მასთან უნდა გადასულიყვნენ საცხოვრებლად. ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ბავშვების დეიდამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. იგი აცხადებდა, რომ სამართალწარმოების პროცესში დაირღვა მისი დისშვილების უფლებები. სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის პოზიცია და დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, **ბავშვების წარმომადგენლობაში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით** და იმის გამო, რომ **ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვების საუკეთესო ინტერესებს არ მიანიჭეს უპირატესობა.** სასამართლომ გააკრიტიკა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ბავშვების "ბუნდოვანი" წარმომადგენლობა და განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება იყო "**რადიკალური**" ღონისძიება იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მტკიცებულება (მათ შორის, ფსიქოლოგების დასკვნები) **მიუთითებდა, რომ ბავშვებს არ სურდათ მამასთან დაბრუნება.** სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ისეთ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როგორიცაა ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვისადმი მეგობრული მართლმსაჯულების შესახებ და კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.

"არაჯეროვანმა წარმომადგენლობამ და ... ბიჭების შეხედულებების სათანადოდ წარდგენასა და მოსმენაში წარუმატებლობამ შეარყია ... პროცესის პროცედურული სამართლიანობა; რაც კიდევ უფრო გამძაფრდა ბიჭების საუკეთესო ინტერესების არაადეკვატური და ცალმხრივი შეფასებით, სადაც მათი ემოციური მდგომარეობა უბრალოდ იგნორირებული იქნა"
(*ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, 2016 წლის 2 თებერვალი, § 84)

ტეოდორ დრობოტა, წყარო: Unsplash.com

ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ბავშვებმა მიიღეს კომპენსაცია, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა გააუქმეს განკარგულება ბავშვების მამასთან დაბრუნების შესახებ. თუმცა, როგორც ეს აღინიშნა **არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ**, ეს ყოველივე არ იყო საკმარისი ბავშვების დარღვეული უფლებების აღსადგენად, ვინაიდან **ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონდათ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრებოდა დეიდის საცხოვრებელი ადგილი.** ეს გადაწყვეტილება, საბოლოოდ, მიღებული იქნა. არა-სამთავრობო ორგანიზაციების თანახმად, **ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირეული პრობლემა იყო "სისტემური"** და მას განაპირობებდა ბავშვის წარმომადგენლობის შესახებ კანონმდებლობაში და სოციალური მუშაობის სისტემაში არსებული ხარვეზები.

ბავშვის უფლების შესახებ კოდექსისა და **სოციალური მუშაობის შესახებ კანონის** მიღება პოზიტიური წინგადადგმული ნაბიჯებია. თუმცა, "მნიშვნელოვანი ხარვეზები" კვლავ რჩება - მაგალითად, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების სამართლებრივ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით და სამართალწარმოებაში ბავშვის პროცედურული წარმომადგენლის როლთან დაკავშირებით. ამასთან, ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციების თანახმად, **სოციალური მუშაკები საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან პრაქტიკაში**, რესურსების ნაკლებობის გამო. 2020 წლის ზაფხულში ხელისუფლებამ განსაზღვრა სხვა ღონისძიებები გადაწყვეტილების აღსასრულებლად, როგორიცაა საკითხის გათვალისწინება ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის. საიამ და სახალხო დამცველმა გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები. ევროპის საბჭო აგრძელებს გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობას.

არა-სამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი

არა-სამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები აღსრულების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. **9.2 წესის** შესაბამისად წარდგენილი **კომუნიკაციებისა** და **არაფორმალური ბრიფინგების** საშუალებით, მათ შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ კონკრეტული საქმეთა ჯგუფის აღსრულების კუთხით არსებულ რეალურ მდგომარეობას და მოახდინონ მათი ნაადრევად დახურვის პრევენცია.

ინდივიდუალური საქმეების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ქვემოთ წარმოდგენილ ორგანიზაციებს.

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)](#)

თბილისი, ჯ. კახიძის ქ. #15 ს.ი. 0102

gyla@gyla.ge

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუცმენი)

თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. #6 ს.ი. 0179

info@ombudsman.ge

EIN-ი თანამშრომლობს არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მასშტაბით, მათი იურიდიული შესაძლებლობების განვითარების, კონსულტაციის (მათ შორის, 9.2 წესის შესაბამისად კომუნიკაციების მომზადების შესახებ) და არა-სამთავრობო ორგანიზაციებისათვის სტრასბურგში პლატფორმის უზრუნველყოფის მიზნით - რათა აღსრულების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის გზით არა-სამთავრობო ორგანიზაციებმა შეძლონ რეალური ცვლილებების განხორციელება.

გამოყენებული წყაროები

საქმეთა ჯგუფი, რომელიც შეეხება დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების უფლებას არასათანადო მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებით (*ცინცაბაძის* ჯგუფის საქმეები)

- საქართველოსთვის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა, 2016-2019 წწ., ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/1680642886
- ყოველწლიური ანგარიში, ხელმისაწვდომია აქ: https://www.coe.int/en/web/execution/annual-reports
- მინისტრთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის შესახებ (2017), ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/annual-report- 2017/16807af92b
- მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/ENG?i=CM/Del/Dec(2019)1362/H46-8E
- მინისტრთა კომიტეტის 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/ENG?i=CM/Del/Dec(2018)1324/H46-6E
- EIN-ის გვერდი საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: http://www.einnetwork.org/georgia-echr
- EIN-ის განმარტება სტატისტიკური მონაცემების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: http://www.einnetwork.org/about-our-data
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, II სექცია, ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-103371
- ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატის ერთობლივი მოსაზრება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე, 2014 წლის 11 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD%282014%29031-e
- ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატის ერთობლივი მოსაზრება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე, 2014 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD%282014%29031-e#)
- ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოქვეყნების შესახებ, 2017 წლის იანვარი, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/application-of-the-standards-of-the-european-convention-of-human- right/16807823b6
- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრებები საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ: მართლმსაჯულების რეფორმები, ტოლერანტობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, 2016 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806db79f)
- ვენეციის კომისიის მოსაზრება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე, 2013 წლის 11 მარტი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD%282013%29007-e
- ვენეციის კომისიის მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების შეტანის შესახებ საკონსტიტუციო კანონპროექტთან დაკავშირებით, 2018 წლის 17 მარტი, ხელმისაწვდომია აქ: http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2018)005-e
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ანგარიში "სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება", 2016 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.gyla.ge/en/post/samartaldamcavta-mier-savaraudod-chadenili-danashaulis-faqtebi-da- matze-sakhelmtsifos-reagireba-saias-tsarmoebashi-arsebuli-saqmeebis- analizi#sthash.Nh0tEbUp.3MG0kb6H.dpbs
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში "წამებისა და არა-სათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია", 2020 წელი, ხელმისაწვდომია აქ: https://gyla.ge/ge/post/gyla-held-an-online-presentation-of-the-report-prevention-

and-forms-of-torture-and-ill-treatment
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, 2019 წ., ხელმისაწვდომია აქ:
http://ombudsman.ge/res/docs/2020070407523954521.pdf
- წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის ანგარიში, ხელმისაწვდომია აქ:
https://rm.coe.int/1680945eca
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის მიერ 9.1 და 9.2 წესის შესაბამისად წარდგენილი კომუნიკაცია, 2018 წლის 3 სექტემბერი, ხელმისაწვდომია აქ:
http://hudoc.exec.coe.int/ENG?i=DH- DD(2018)880E
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის მიერ 9.1 და 9.2 წესის შესაბამისად წარდგენილი კომუნიკაცია, 2020 წლის 20 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ:
<https://hudoc.exec.coe.int/ENG#
{%22EXECIdentifier%22:[%22DH-DD(2020)944E%22]}>
- საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუცმენის) მიერ 9.2 წესის შესაბამისად წარდგენილი კომუნიკაცია, 2017 წლის 7 დეკემბერი, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/ENG?i=DH-DD(2017)1416E
- ფაქტობრივი მონაცემები საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/168070974a
- მთავრობის განახლებული სამოქმედო გეგმა, 2020 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ:
<http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)899E> და საიას და EHRAC-ის მიერ წარდგენილი ახალი კომუნიკაცია.
- მთავრობის განახლებული სამოქმედო გეგმა, 2018 წლის 13 ივლისი, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/eng? i=DH-DD(2018)767E
- მთავრობის განახლებული სამოქმედო გეგმა, 2019 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ:
http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2019)1282E
- Human Rights Watch-ის მსოფლიო ანგარიშის "საქართველოს" შესახებ ნაწილი, 2019 წ., ხელმისაწვდომია აქ:
https://www.hrw.org/world- report/2019/country-chapters/georgia

სტატისტიკური მონაცემები

- HUDOC-EXEC-ის მონაცემთა ბაზა: https://hudoc.exec.coe.int/ENG#
{%22EXECDocumentTypeCollection%22:[%22CEC%22]}>, 2020 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით
- საქართველოს შესახებ ფაქტობრივი მონაცემები, ხელმისაწვდომია აქ: < https://rm.coe.int/168070974a>
- EIN-ის გვერდი საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: http://www.einnetwork.org/georgia-echr
- EIN-ის განმარტება სტატისტიკური მონაცემების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: http://www.einnetwork.org/about-our-data

ბავშვთა უფლებების ჯგუფის საქმეები (ნ.წ.-ს ჯგუფის საქმეები)

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, IV სექცია, *ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, 2015 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-160313
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვისადმი მეგობრული მართლმსაჯულების შესახებ, 2020 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/16804b2cf3
- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, მიღებულია გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციით, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს, ხელმისაწვდომია აქ: https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 9.1 და 9.2 წესის შესაბამისად წარდგენილი კომუნიკაცია, 2019 წლის 10 სექტემბერი, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2019)984E
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 9.2 წესის შესაბამისად წარდგენილი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)1019E

- მთავრობის განახლებული სამოქმედო გეგმა, 2020 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)750E
- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი კომუნიკაციების პროცედურის შესახებ, მიღებულია გენერალური ასამბლეის 2011 წლის 19 დეკემბრის A/RES/66/138 რეზოლუციით, ძალაში შევიდა 2014 წლის 14 აპრილს, ხელმისაწვდომია აქ: https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/opiccrc.aspx
- საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია, 2014-2020 წელი, ხელმისაწვდომია აქ: http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=429&info_id=51454
- ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა (2014-2016), ხელმისაწვდომია აქ: <.http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=429&info_id=51455>
- ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა (2016-2017), ხელმისაწვდომია აქ: http://myrights.gov.ge/en/plan/Human%20Rights%20Action%20Plan%20for%202016-2017
- პროექტი საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სისტემის განმტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: https://eu4georgia.ge/reinforcing-the-child-welfare-and-protection-system-in-georgia/
- "ბავშვის მეურვეობის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (ზოგიერთი ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტი)", ხელმისაწვდომია აქ: http://www.supremecourt.ge/news/id/1875

ყველა ბმული წარმოდგენილია 2020 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება: საქართველო

European Implementation Network

იანვარი, 2021 წ.